

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 4

ქ. ბათუმი, 06 იანვარი 2017 წ

**„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 11 სექტემბრის №534 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :**

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 11 სექტემბრის №534 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების 1.1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის მიერ დაუყოვნებლივ მოხდეს ოქმის განსახილველად გადაგზავნა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოსადმი (სასამართლოსადმი, თანამდებობის პირისადმი).“.

გ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. წინამდებარე ბრძანების საფუძველზე გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წარმოებაზე და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) ან/და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, ხოლო არსებობისას გენერალური დირექტორი), სადაც მუშაობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.“.

2. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს მათთან არსებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მკაცრი აღრიცხვის ფორმების შენახვა-აღრიცხვაზე უფლებამოსილ (პასუხისმგებელ) პირზე (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი) დადგენილი წესით გადაცემა.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი